საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაკურციხე

ბაკურციხე, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე, მდ. ჩალაუბნისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ცენტრი. რკინიგზის ბაქანი. ზ. დ. 440 მ, გურჯაანიდან 12 კმ. 2,6 ათ. მცხ. (2014).

ბ-სა და კარდანახს შორის აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის განძი, სამაროვანი და გორასამარხი („გორამიწა“). ბ-ის განძის შემადგენლობაში იყო ბოლოკვეთილი მახვილები, კახური სატევრები, საწვივე რგოლები, სატეხები, ცენტრ.-ამიერკავკ. ცულები და სხვ. საძიებო თხრისას ნაპოვნია შუა ბრინჯაოს ხანის შავპრიალა თასის ფრაგმენტები, რ-იც თრიალეთის სინქრონული ძეგლების მსგავსია; აგრეთვე გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სტილიზებული ნამგლისპირი, სარდიონის მძივები, ბრინჯაოს რგოლ-სამკაულები და ცხოველის გამოსახულება. ბრინჯაოს ნამგლებს, შესაძლოა, სასხლავადაც იყენებდნენ. სოფლის თავში აღმოჩენილია ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ. ორმოსამარხები. მიცვალებულები იწვნენ გვერდზე, ხელფეხმოკეცილნი. სამარხებში იყო ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ორნამენტიანი ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები და ზოგან სასაფეთქლე რგოლებიც.

ა. აფაქიძე